

#3 (24), მარტი, 2009

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის პროექტის ფარგლებში აცხადებს

საგრანტო კონკურსს ინსტიტუციონალური განვითარებისთვის



კონკურსის მიზანი:

საქართველოში ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობის და განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ ზრუნვაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

კონკურსის პირობები:

✓ საგრანტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმატით (იხ. <http://civilin.org/guidelines.doc>) სამ ეგზემპლარად;

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საგრანტო კონკურსი ინსტიტუციონალური
განვითარებისთვის

(გაგრძელება)

✓ რეგიონულ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება საგრანტო განაცხადი წარმოადგინონ ელექტრონული სახით. ელექტრონულად გამოგზავნილი პროექტები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ დოკუმენტაციის მიღების დადასტურების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში პროტენზიები არ მიიღება;

✓ მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ევროს. პროექტის საერთო ბიუჯეტი შესაძლოა აღემატებოდეს ამ თანხას, თუ არსებობს დაფინანსება სხვა წყაროებიდან. ამ შემთხვევაში განაცხადს უნდა ერთვოდეს დამატებითი ფინანსური წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული კომპონენტებისა იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

✓ უნდა მიეთითოს პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები (CV), პროექტის განხორციელებისას მათი პასუხისმგებლობებისა და შესასრულებელი სამუშაო მოცულობის მითითებით;

✓ თუ პროექტით გათვალისწინებულია ექსპერტების მოწვევა, საჭიროა მიეთითოს მათი ვინაობა პროფესიული გამოცდილება, რა საკითხებზე იმუშაებენ, რა დროით და ა.შ. ასევე პროექტს უნდა ახლდეს მათი თანხმობის წერილი.

არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად და არ განიხილება.

წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) განმცხადებელს არ დაუბრუნდება. პროექტის შედეგები გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე: www.civilin.org/welfare

კონკურსში მონაწილეთა საპროექტო განაცხადები მიიღება 2009 წლის 27 აპრილის 17:00 საათამდე, შემდეგ

მისამართზე: 26 მაისის მოედანი #2, V სართული,

ან ელ-ფოსტა (რეგიონალური ორგანიზაციებისთვის): ia@civilin.org.

კონსულტაცია ჩატარდება 2009 წლის 6 აპრილს, 16:00 საათზე.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისში

მისამართზე: 26 მაისის მოედანი #2, V სართული,

საკონტაქტო პირი:

ია გაბუნია

ტელ: 94 16 05; 33 04 17

ელ-ფოსტა: ia@civilin.org



საკონკურსო განაცხადი

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა დღის ცენტრის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია ოჯახურ გარემოში მცხოვრები შშმ პირების დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 19 მარტი, 2009 წელი

<http://www.civilin.org/welfare>

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა დღის ცენტრის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია შშმ ბავშვთა სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში მცხოვრები ბენეფიციარების შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის მომსახურებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 19 მარტი, 2009 წელი

<http://www.civilin.org/welfare>

ვიკოთ ერთად



ნახატები, თიხისა და სხვადასხვა მასალისგან შექმნილი აქსესუარები – მძივები, ბეჭდები, ნაჭრისგან შეკერილი თოჯინები და უამრავი ლამაზი ნივთი თუ ნამუშევარი წარმოადგინეს 17 მარტს, კავკასიურ სახლში, სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციისა და კავკასიურ სახლთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა. აქციის მიზანი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, აღნიშნული პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, სტიგმის დაძლევა.



სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია 1997 წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების მიერ შეიქმნა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში მონაწილეობის გზით ხელს უწყობს მათ სოციალურ ინკლუზიას.



ასოციაცია ამ მიმართულებით ბევრ რამეს აკეთებს – ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს ლიდერთა ინტეგრირებული კლუბი, სადაც მოზარდებს შაბათ-კვირას საშუალება ეძლევათ იმსჯელონ სხვადასხვა საკითხებზე, ამას გარდა, მათ საშუალება აქვთ ორგანიზაციასთან არსებულ სახელოსნოებში სხვადასხვა ნაკეთობების დამზადება ისწავლონ და დაამზადონ. მათ ნამუშევრებს სხვადასხვა ღონისძიებებზე გამოფენენ და დამთვალიერებელს მოხიბლავენ.



საკონკურსო განაცხადი

1. **ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების** სააგენტო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა დღის ცენტრის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 19 მარტი, 2009 წელი <http://www.civilin.org/welfare>

2. **ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების** სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის სრეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად. შესყიდვის ობიექტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია სრეაბილიტაცია.

ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 7 მარტი, 2009 წელი <http://www.civilin.org/welfare>




პრესის მონიტორინგი

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით

სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ასევე პროგრამებს სპროექტებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ზრუნვის ამ ჯგუფებს და მათზე მზრუნველ – საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეხება. მონიტორინგისთვის შეირჩა ყოველდღიური, ყოველკვირეული შემდეგი ჟურნალ-გაზეთები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.


პრესის აქტივობა

თებერვალში გამოქვეყნდა 8 პუბლიკაცია ინფორმაცია. მათი განაწილება გამოცემების მიხედვით ასეთია:



თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან საცნობარო, საგანმანათლებლო კვლევითი ხასიათის 3 პუბლიკაცია დაიბეჭდა, 2 წერილი ეხებოდა ორგანიზაციის საქმიანობას, მის პროგრამებს, ბენეფიციარებს. 3 პუბლიკაცია მიეძღვნა სხვადასხვა პროგრამებს.



ტერმინები

გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოყენებული იყო შემდეგი მიმართვის ფორმები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, უნარშეზღუდული, ქუჩის ბავშვი, ობოლი, უმწეო, უპოვარი, ცერებრალური დამბლით დაავადებული.



თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>
მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>
ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

ინკლუზიური განათლების ელჩები



ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც ასოციაცია „მშობელთა ხიდი“ ახორციელებდა. პროექტის მიზანი ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა იყო. იგი პროგრამის – თანაბარი უფლებების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის – ფარგლებში, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელდა. #198 და #31 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები – გარკვეული პერიოდი „ინკლუზიური განათლების

ელჩები“ იყვნენ. „ელჩებმა“ სემინარები ჩაუტარეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ოცდაათი საჯარო სკოლის წარმომადგენელს – ისაუბრეს საინტერესო თემებზე, გაეცნენ საკუთარ უფლებებს. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფოტო ნამუშევრები – „ჩვენი სკოლა“ და „მეც შემძლია“. ნამუშევრები ასახავენ როგორც ინკლუზიური განათლების პროცესს, ასევე ადამიანის უფლებებს. ფოტოგამოფენა მოეწყო 5 მარტს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც ოფიციალურად დაიხურა პროექტი.



სიახლე



SMART – მართვის ხელოვნების სკოლა

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი გთავაზობთ შინაარსობრივად ახალ პროდუქტს, რომელიც შეიქმნა სპეციალურად საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერთათვის. მართვის ხელოვნების სკოლის პროგრამა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ორგანიზაციათა სხვადასხვა დონის მენეჯერებისათვის შეიქნა:

- ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენელთათვის;
- პროგრამებისა და პროექტების მენეჯერებისათვის.

მართვის ხელოვნების სკოლა ახალი საფეხურია საზოგადოებრივი ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სფეროში. სრული პროგრამის განაწილება ერთ წელიწადზე საშუალებას იძლევა შეიძინოთ ახალი ცოდნა და უნარები ორგანიზაციის ეფექტურობის გასაძლიერებლად და ამავე დროს მართოთ ორგანიზაცია. პროგრამა მომზადებულია მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის, აკრედიტებული ტრენინგ-კურსების და ორგანიზაციული განვითარების თანამედროვე თეორიების ბაზაზე, რომელიც გამდიდრებულია შესაბამისი მასალით. **SMART** პროგრამას უძღვებიან ორგანიზაციული განვითარების მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება. პროგრამა შედგება 6 ძირითადი ტრენინგ კურსისაგან. გარდა ამისა, მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა ინტერესის შესაბამისად გაიარონ არჩევითი კურსებიც.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე: http://csrdg.ge/index.php?module=text&link_id=102